ივნისი 6. 1920


# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 8 მ. მე-4 გვერდზე—6 მ. ხმელეთვადათ განცხადებანი 30 სტრიქონი—250 მ. 1-ლი საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. | შაბათი, მარიამობისთვის 21. 1920 წ. № 81 | ფასი 10 მანეთი.



ევროპა-კავკასიის სავაჭრო ბანკი

(რუსთაველის პროსპექტი № 17 და ბარიატინსკის კუთხე, ტელ. № 17—48

ამით აცხადებს, რომ

**გაიხსნა სავალიუტო**

განყოფილება და აწარმოებს სარგებლიანი

და უცხოეთის ვალიუტის ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის.

ბანკი ღიაა 9 — 3 საათამდე.

სხვაგან სად! თუ არ სასადილო

(ყოფილი „ეკონომია")   „ტაშირში"!   შტაბის ქუჩა

პუშკინის ბაღის პირდაპირ

ვისაუზმოთ დილ. . . . 10--12 ს.

ვისადილოთ „ . . . 12--6 ს.

ვივახშმოთ „ . . . 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ: მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

მობრძანდით და დარწმუნდით.

ქ. ლანჩხუთში არსდება გ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

**გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი**

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი.**

თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მან. ე. ი. თითო აქციაზე 550 მან.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6-ორშაბათს, 7-სამშაბათს, 8-ოთხშაბათს, 9-ხუთშაბათს და 10 პარასკევს ამა სეკტემბერს: ლანჩხუთში-საურთიერთო ბანკში. თბილისში-ცენტრო-ბანკში. ქუთაისში-ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში-ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში-ელისე ანთელიძესთან. სამტრედიაში-სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან და სუფსაში-კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნაში ეძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

1-3075-7  გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

**საქართველოს**

**სავაჭრო სამრეწველო ცენტრალურმა ბანკმა**

**გახსნა განყოფილება**

# ბორჯომში

აწარმოებს ყოველივე საბანკო ოპერაციას. მოაგარაკეთა ოჯახობას შეუძლიანთ თბილისიდგან მთავარ გამგეობაში გახსნილ მიმდინარე ანგარიშიდგან ბორჯომში მიიღონ ნაწილ-ნაწილად სახარჯო ფული. გადაგზავნ-გადმოგზავნა თანხის გაადვილებულ წესით ხდება.

73

საზოგადოების საყურადღებოთ

**დავით იაგორის-ძე კალანდაძე**

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

**კონიაკის, არაყის და ლიკიორის**

**მ. ნ. აივაზოვისა**, ყოფილი სავაჭრო სახლი ამ. **სეილანოვებისა** პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა **კალანდაძის** ფირმით— სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27


## მოსკოვის ხელმძღვანელება და ბოლშევიკები.

საქართველოს ცილისმწამებელთა რიცხვში რუსეთის ბოლშევიკებმა უკანასკნელ დროს საპატიო ადგილი დაიჭირეს. ეს „ფუნქცია" მოსკოველ კომუნისტებმა ალბად კანონიერად დაიმკვიდრეს კოლჩაკ-დენიკინელებისაგან, რომელთაგანაც უმეტეს შემთხვევაში იკვებებოდა ევროპა-ამერიკის სხვა და სხვა მიმართულების პრესა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან არ ყოფილა მაგალითი, რომ რუსეთში მოკალათებულ უამრავ მთავრობათა, ორგანიზაცია და ჯგუფისაგან მართალი ხმა მისწვდენოდეს განათლებულ კაცობრიობას... რაში გვდებდნენ ბრალს? გამოინახება

# დ ღ ე ს

გერმანიის მთავრობამ აკრძალა რუსეთ-პოლონეთში სამხედრო მასალების შეტანა.

ვანდერველდე მეორე ინტერნაციონალის აღდგენას მოითხოვს.

ლიონის რადიოს გადმოცემით, პოლონეთის კონტრიერიშები წარმატებით ვითარდება.

ვარშავა ბოლშევიკების თავდასხმისაგან უზრუნველყოფილია.

ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ფრანგი ოფიცრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

აზერბაიჯანის ყოფილი მთავრობის დელეგაცია ლონდონში განზრახულ კონფერენციაზე დასწრებას თხოულობენ.

ხაზ. საქმ. მინისტრი ე. ჟღენტი საზღვარ გარეთ გაემგზავრა: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე დაინიშნა.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.

1) მეთაური: მოსკოვის ხელშეკრულება და ბოლშევიკები.
2) კონფისკაციის სეზონი.
3) პრესა.
4) ბ. გ. რუსეთი და ანტანტა.

რას სწერენ გაზეთებში.

ჩვენი კორესპოდენტები: ზესტაფონი.

---

სრულიად გაუბედურებული მშობლები

ლევან ვლადიმერისძე და მარიამ პეტრეს ასული

ჩიქოვანეები.

ულრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პირადად ან დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადა მათ ერთად ერთი ნუგეშის

# თამარის

დაკარგვის გამო.

განსაკუთრებულ მადლობას უძღვნით განსვენებულის ამხანაგებს, რომელნიც დასაფლავებამდე დღე და ღამ განსვენებულს თავს დასტრიალებენ.

---

ისეთი შემზარავი და სასტიკი საქციელი რომელშიაც, ჩვენი მტრების სიტყვით, ქართველ ხალხს წილი არ მიუძღვოდეს.

სულ ბოლო ხანებში რუსეთის ბოლშევიკებმა მოსკოვში 7—12 მაისს დადებული ხელშეკრულება გამოიყენეს საქართველოზე ყალბი ცნობების გასავრცელებელ საბაბად: მოსკოვის საბჭოთა წრეებში მეტად განრისხებულნი ყოფილან იმისგამო, რომ ხსენებული ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მოვლენები საქართველოში ყველას არ მოსწონს. მოსკოვში მეტად განცვიფრებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ბათომის საკითხის ჩვენს სასარგებლოდ გარდაწყვეტას საქართველოს მთავრობა და მთელი ხალხიც საქართველოს სახელმწიფოს გამარჯვებათ სთვლის. ბოლშევიკებს არაფრად მიაჩნიათ ის ტიტანიური ბრძოლა, რომელსაც ქართველობა ეწეოდა ორი წლის განმავლობაში გამუდმებით და რომელიც საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს მკვიდრთა სურვილისამებრ გადასწყდა ბოლოს და ბოლოს. რუსეთის ბოლშევიკები მაინც და მაინც მოწადინებული არიან დაარწმუნონ ქვეყანა, თითქოს ბათომი და სამაჰმადიანო საქართველო დაუბრუნდა რესპუბლიკას მხოლოდ ბოლშევიკების წყალობით.

„მენშევიკებს ავიწყდებათ — სწერს ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“ — რომ სწორედ საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობამ საქართველოს დამოუკიდებლობისა გადასჭრა ბათომის ბედი“..

მენშევიკებს რაც ახსოვთ და ავიწყდებათ, ეს არც თუ ისე სავალდებულოა საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიის ისტორიისათვის, მაგრამ ვინც უნდა მიიკუთვნოს ბათომის საკითხის გადაწყვეტის პრიორიტეტი, ერთი რამ ცხადია მთელი ქართველი ერისათვის, რომ საბჭოთა მთავრობა, მიუხედავად ჩვენთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებისა და მის გარეშე მრავალ მეგობრულ დაპირებისა, მაინც ფაქტიურად მოქმედობს საქართველოს წინააღმდეგ!

„რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ეხლა უკვე სიბრაზეს იწვევს მენშევიკებში“, სწერს ბოლშევიკების ორგანო „პრავდა“ და ამ ფაქტს იმ გარემოებით ხსნის, თითქოს ქართველ მენშევიკებს ელანდებათ ვრანგელისა და პილსუდსკის გამარჯვება საბჭოთა წითელ ჯარებზე. ბოლშევიკებს უკვირთ, რატომ საქართველოში დაუსრულებელ ლხენას არ მისცემიან იმის გამო, რომ დიდმა რუსეთმა ასეთი ხელშეკრულება მისთავაზა პატარა სახელმწიფო და მის სასარგებლოდ კონკრეტულად შემოფარგლა მისი ისტორიული საზღვრები.

ჭეშმარიტად იუმორისტები სხედან მოსკოვში! რითი უნდა იყოს საქართველო დაკმაყოფილებული? იქნებ, იმ გარემოებით, რომ მოსკოვის ხელშეკრულების ძალით საქართველოს უბრუნდებოდა მისი უძველესი პროვინცია-ზაქათალის ოლქი და აზერბაიჯანს ეკრძალებოდა იქ ჯარისა და ადმინისტრაციის ყოლა სინამდვილეში-კი ჩვენ ვხედავთ, რომ ზაქათალის ოლქს აზერბაიჯანთან ერთად მოევლინა ახალი ბატონიც — ამჟამათ რუსეთის წითელ არმიელების სახით, რომელთაც სისხლით მორწყეს საქართველოს მიწა-წყალი და დღესაც განაგრძობენ საინგილოში დაუსჯელად კაცის კვლასა და ძარცვა-გლეჯას?! ან, შეიძლება, ის ფაქტი უნდა გვაახარებდეს, რომ, „წითელ“ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და უფრო, კი მის დასავლეთ ნაწილში — საქართველოს საზღვრებთან გვერდზე — საბჭოთა ჯარის „დისლოკაცია“ ხდება?-

საფიქრებელია, ამ პირობებში მოსკოვის ხელშეკრულობის „თვალის ჩინად“ აღიარება?! საბჭოთა რუსეთის მმართველნი არ უნდა იყვნენ სწორ წარმოდგენისა ქართველ ხალხზე, მის სახელმწიფოებრივ — ეროვნულ ღირ ებაზე, უკეთუ განცვიფრებულნი არიან იმით, რატომ ჩვენ ავსა და საზარელ მოვლენას „ზეციურ მანანად“ არა ვთლით ჩვენი სამშობლოისათვის!..

სამწუხაროდ ის არის ყველა ამაში, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ვერ იქნა და ვერ დამყარდა ნორმალი დამოკიდებულება: ბოლშევიკი გაათრებით ებრძვის მენშევიკს და წინააღმდეგ, ხოლო შუაში კოზაკივით ისრისება სახელმწიფოებრივი ინტერესი ორივე ქვეყნისა!

ბ-ნ კიროვის და კომპანიის დიპლომატ. მისსიამ ოდნავ. ვერ წასწია საქმე წინ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერც „მუშური დელეგაციები“ გამოასწორებენ შექმნილ განწყობილებას. ასეთს ვითარებაში-კი შეუძლებელია წესიერი ურთიერთობის გაგრძობა.

სად არის ხსნა?

---

## კონფისკაციის სეზონი.

ჩვენი მთავრობა იმ თავიდან სეზონობით ცხოვრობს. პოლიტიკური დარისა და ავდარს საუცრად ეწყობა, როგორც მექანიკურად მოქმედი ბარომეტრი. გადასინჯეთ მისი მოქმედების ხაზი თავიდან ბოლომდე თუ დაინახოთ ერთი გარკვეული გეზი, ანუ როგორც თვითონ უყვართ გამოთქმა: „წითელი ზოლი... წითელი ლარი“. საიდან რა საფრთხეს მოელიან, უმალვე იმ ქუდსა და ფარხმალს ასხამენ, როგორიც უმჯობესია, რაც მათ ბატონობას უზრუნველსა ჰყოფს. შილლერის განთქმული „ფიესკოს შეთქმულების“ ცხელაც ძალაშია: მონობიდან ბატონობაზე გადასული ფიესკო ტირანად იქცევა, ვიდრე მასივი გულითადი მეგობრები ამ ტირანის გამოსად ხელს არა ... რავენ და ზღვას ზეირთებში არ ჩააძირებდენ. ასეთია, საზოგადოდ, ბატონების ფილოსოფია...

აი, ჩვენს მთავრობასაც გეუჩვა ბატონობა. ამ ბატონობის შესანარჩუნებლად მარჯვნივ და მარცხნივ იხრება ისი, როგორც დაჰბერავს პოლიტიკური ქარი. დღეს სეზონია ბოლშევიზმისა. რაც მათი წითელი ბატონი კიროვი მოკრივით გაუჩნდა და მუშტს უღერებს, რაც მისი აგენტები ძველი თუ ახალი კომუნისტების ფურცლებზე გათამამებულ, მათრახით გვერდს უჭრელებენ ახლა საზეზონო დეკორაციის შეცვლა და ახალი კოსტიუმის გამოჭრა შეიქმნა საჭირო, რომ როგორმე ბატონობა შეინარჩუნონ და ქვეყნიერებაც დაარწმუნონ: ჩვენც სოციალისტები ვართო! ვის არ ახსოვს გ. ჟურულის „პირობას“ ფურცლებზე დაუსრულელი ბრძოლი „მძიმე ჯვარი“, რომელმაც ქართველ პარტიის პოლიტიკას და მთავრობასაც შავი ლაქად დაადო — ბოლშევიკურ ბანაკში თვისი მორცხვი სიმპატიების გამოცხადებით. ახლა არის და „ერთობამაც“ ნელ-ნელ, მაგრამ თანდათანობით გაბედულად დაიწყო ქადაგება „კომუნიზმის“ ცხოვრებაში საიდეალო გასატარებლად. სადღაა ახლა დევდარიანისა ხმალ ამოღებული ლაშქრობა და პირველი ჯვაროსნული ომი? ეხლა დაცხრომის პერიოდია, სეზონი ბოლშევიკებისკენ გადახრისა, რომ პრაქტიკულ ნაბიჯზე გადასვლა ყოველ შემთხვევისთვის მზად იყვნენ და თუ გასწყრა ღმერთი და გადატრიალება მოხდა, ისევ თვითონ დარჩნენ ბატონებად. თუ ეს ასე არაა, რას უნდა ნიშნავდეს რომ თანდათან უხშირეს კონფისკაციებს? რას ნიშნავს, რომ „ერთობამ“ დაიწყო ასეთ ნაბიჯების არა თუ გამართლება, ქადაგებაც კი. იგი ქადაგებს კერძო ინიციატივის ჩაკვლას და ქალაქთა თვითმართველობათა და ერობათა ხელში ეკონომიური საქმიანობის გადასვლას. ვინაიდან, ესენიო, ამბობს „ერთობა“, ქმნიან ახალ წარმოებას, ქარხნებს და ყოველ ღონისძიებით ცდილობენ საქონლის შიმშილი შეუმსუბუქონ მცხოვრებთ. ჩვენ კი ვიცით, რასაც ნიშნავს „ახალი წარმოებისა“ და „ქარხნების“ შექმნა. დღემდე ეს „შექმნა“ ქარხნების ჩამორთმევის ფარგლებს არ გასცილებია.

აი, გუშინდელ ჩვენს გაზეთის ფურცლებზე უკვე იყო აღნიშნული, რომ „მთავრობამ დაადგინა ჩამოერთვას ამხანაგობა „შრომას“ ცეცხლმქრობავი აგურის ქარხანა და სარეცხი ფაბრიკა 2,100 000 მან. და გადაეცეს სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს თავის გამგეობაში. ვინაიდან დამფუძნებელი კრება საზაფხულოდ დათხოვნილია და სათანადო დეკრეტის შეტანა შეუძლებელია, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მიეცა ნება საჭირო ხარჯები დაფაროს თავის განკარგულებაში არსებულ თანხებიდან. ამას გარდა ნება დაერთო ფინანსთა სამინისტროს ქარხნების საქმ პლატაციისთვის გაცეს 2 მილიონი მანეთი ავანსად. მთავრობამ დაადგინა შეიძინოს პროტცეროს სპირტის ქარხანა 15 300,000 მანეთად, ყიდვასა და ქარხნის ექსპლოატაციაში მონაწილეობას იღებენ ერობათა კავშირის და ქართველ მეღვინეთა საზოგადოება.“

მეორე შემთხვევა აქ თითქოს ჩამორთმევა კი არ არის, არამედ „შეძენა“ მაგრამ ეს შეძენაც თავისებურია. მწარმოებელთა ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა პროტცეროს ქარხნის შეძენა, მაგრამ მთავრობას სისხი სთხოვეს. მან კი ისინი საქმიდან გააძევა.

ნათქვამი „ჩამორთმევა“, აშკარა თავდასხმაა კერძო საკუთრებაზე, რომელიც ლეგალიზებულ იქნა თვით მთავრობის მიერ და განადგურება მრეწველობის შთანასახისაც კი. ევროპას კი ყურს უბღავენ, ჩვენ ვაქეზებთ კერძო ინიციატივას, ხელს ვუწყობთ ვაჭრობა მრეწველობის განვითარებასაო. შედეგები კი დღემდე ის ვიცით, რომ არსად არც ერთს ჩამორთმეულს წარმოებას არც ერთს ერობისა და ქალაქის თვითმართველობის ხელში არ უხეირნია, პირიქით, დაშლილა, გატიალებულა. ბოლშევიკების შიშით მთავრობა უხშირებს წარმოებათა ჩამორთმევას და ამით ჰგონია, რომ ცხვირს ჩვენი ელყვავდება, — „უნდა გინტკიცდეს და გაძლიერდეს ანგილობრივად კომუნათა საქმიანობა“... ესაა, ვითომც „სახელმწიფო ეკონომიური გაჯანსაღება“... ჩვენ კი გვგონია, რომ ასეთი ნაბიჯები იქნება დასნეულება ჩვენი დემოკრატიულ სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრებისა, რასაც მოჰყვება ბოლშევიკური ეპიდემია, — უთავბოლოთ ძარცვა და რბევა. მაგრამ რა, ალბად მაშინ ჩვენი მენშევიკები ამ გარემოებასაც შეეგუებიან და რაკი ერთხელ დაექანებიან რბევის თავქვეზე, ვინ იცის, იქნებ ლენინ ტროცკი და ბუხარინიც კი ვეღარ მოჰყვნენ შესაკავებლად..

---

## პ რ ე ს ა

ლურჯი ფრინველი.

სოციალისტებს ერთი ლურჯი ფრინველი ჰყავთ: ინტერნაციონალური იდეა. ეს იდეა ყოველთვის გაფრენაზეა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მას ვინმე მიუახლოვდება. ჩვენი პლანეტის ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურ კანონებს ის არ ემორჩილება. ერთხელ საერთაშორისო ომის დროს შეეცადნენ სოციალისტები ამ ფრინველის დაჭერას, მაგრამ გაუფრინდათ. მას შემდეგ ეს ფრინველი აღარ დაბრუნებულა, არავის უნახავს, და რუსეთის კომუნისტებმაც სმოლნისა თუ კრემლის სასახლეებს კედლებზე რომ კომინტერნაციონალის პლაკატები დაჰკიდეს ჩვენ მეორე ინტერნაციონალის სამახსოვრო ფითებელა ან ძეგლი გვეგონა, მაგრამ კომუნისტები ღრმა მორწმუნენი ყოფილან და მეტერლინკის გმირებივით მოვლენის მისტიფიკაციას დღესაც განაგრძობენ. გაზ. „ახ. კომუნისტი“-სთვისაც ომისა და რევოლიუციის ისტორიას უნაყოფოდ ჩაუვლია და პროლეტარიატს არ არსებული საერთაშორისო სოლიდარობა ასე წარმოუდგენია:

„ისტორიული განვითარება, ობიექტიური პირობები სწორეთ პროლეტარიატში აძლიერებს სოლიდარობის გრძნობას და უფრო ხელს უწყობს მის მჭიდრო შეკავშირებას. პროლეტარს არაფერი არა აქვს სადავო პროლეტართან. სხვადასხვა ქვეყნის და ნაციის პროლეტარები ინსტინქტიურად გრძნობენ თავის ერთობას და დიდებული ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, მხოლოდ შეგნებული გამოხატულებაა მთელი პროლეტარიატის სულის და ცხოვრების მიდრეკილებისა. ნაციონალური განსხვავება უკანა მხარეზე დგება, პროფესიონალური ქიშპობა ისპობა და რაც უფრო ვითარდება ცხოვრება და მასთან ერთად პროლეტარიატი, იმდენათ უფრო წინ დგება მისი კლასობრივი სოლიდარობა.“

რომელ „ისტორიულ განვითარებას“ შესახებ სწერს „კომუნისტი“? ჩვენც ვიცით ამ „ისტორიის“ ერთი შავი ფურცელი: სახელდობრ საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატის ბარბაროსული ბრძოლა მეზობელ პროლეტარიატის წინააღმდეგ. პეტრე დიდის რუსეთში არ ყოფილა ისეთი მაღალი პატრიოტიზმი და შემტევი ენერგია, როგორიცაა ლენინის რუსეთში. ნუ თუ „კომუნისტი“ ამაში ჰხედავს ნაციონალურ იდეის დაჩრდილვას და პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის გამარჯვებას?

---

## რუსეთი და ანტანტა.

ევროპის გაზეთები დიდს ყურადღებას აქცევენ საფრანგეთის მიერ უკანასკნელად გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს რუსეთის საქმეში ვრანგელის მთავრობის ცნობას. ეს აქტი ინგლისის პოლიტიკას ეწინააღმდეგება — თუმცა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები ინგლისიდან გააძევეს მაგრამ ლოიდ — ჯორჯს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მათთან შეთანხმების იმედი; საფრანგეთი კი წინადაც წინააღმდეგი იყო ბოლშევიკებთან შეთანხმებისა, დღეს კი პირდაპირ გზას დაადგა ამ მხრივ. ამ გარემოებას გაზეთები აფასებენ როგორც კონფლიქტს ინგლისის და საფრანგეთს შორის მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი მათი შეთანხმებისა.

რათ მოხდა ეს კონფლიქტი?

საფრანგეთის ინტერესს შეადგენს რუსეთში დაბანდებული თავისი სესხი დაიბრუნოს; ჯერ ომამდე საფრანგეთიდან აღებულ რუსეთის ვალი უდრიდა 20 მილიარდ ფრანკს, ხოლო ომისათვის აღებული უნდა იყოს არა ნაკლებ 15 მილიარდის.

ამ ვალის პროცენტების აღება უნდა საფრანგეთის მთავრობას, თავის წვრილ რანტიების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლენინ — ტროცკისთან შეთანხმება საქმეს ვერ უშველის.

სულ სხვაა ინგლისის მდგომარეობა. მას უნდა რუსეთიდან ნედლი მასალა: ხეტყე, პური, სელი და კანაფი, და ამისთვის ეძებს შეთანხმებას.

მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ შეთანხმება ინგლისსაც ვერ მოუტანს სასურველ მასალას. ყოველგვარი ნედლი მასალის შემქმნელი რუსეთში გლეხობაა და არა კომისრები. გლეხი კი არც ბოლშევიკებს ენდობა და არც ევროპას და ამიტომ არაფერსაც არა ქმნის; მუშაობს იმდენს რომ თავისი საყოფი მასალა დაამზადოს, რადგან ზედმეტის წარმოებისა ეშინია.

ამ მასალის გაყიდვა მას არ სურს, რადგან არავითარი იმედი არა აქვს ამ ფულით საჭირო ფაბრიკატების შოვნის.

მაგრამ ეს კიდევ ვერ ჰხსნის საკითხს საფუძვლიანად, მარტო ეკონომიკა არ ამოძრავებს ხალხებს. არსებობს იდეის გავლენაც და ამ მხრივ ევროპა ვერ იცნობდა რუსეთს და დღესაც ვერ იცნობს.

დღეს რუსეთში ადგილი აქვს არა სოციალიზმს ევროპიული შეგნებით ან კომუნიზმა, არამედ წმინდა რუსულ მოვლენას: ბოლშევიკების ორგანიზაცია არის სამხედრო ყაჩაღური ორგანიზაცია, როგორიც ჰქონდათ ძველად ავაზაკებს. ავაზაკების ორგანიზაცია იყო ძველად უკრაინაშიაც, — ზაპოროჟული ყაზახები, და რუსეთშიაც, — დონის, ურალის და ციმბირის მხარეებში დღევანდელი ბოლშევიკების გვარი კომუნიზმი ავაზაკებსაც ჰქონდათ ის ორგანიზაციაც და ესეც ეწეოდენ და ეწევიან დღესაც ძარცვა-გლეჯას შიგნით და გარედ. და რუსის ხალხი ითმენს ამას. ამ მოთმენის მიზეზი მეორე თვისებაა რუსის ფსიხიკისა: რუსს სძულდა მუდამ ევროპა და ყოველივე ევროპიული და დღესაც სძულს იგი. ეს მოვლენა საერთო იყო მთელი ერისათვის, გადაათვალიერეთ რუსეთის ლიტერატურა და ჰნახავთ, რომ მისი კვინტესენციას შეადგენს ლ. ტოლსტოის ცხოვრება და ფილოსოფია. ეს იყო მედგარი პროტესტი ევროპის კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ. ლ. ტოლსტოი მოსკოვის უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გამოაგდეს, და მას უკან სძულდა ოფიციალური მეცნიერება და ... ... მაში იყო გამოჩენილი კრიტიკოსი ევ. სოლოვიოვი სწერს თავის წიგნში: „რუსეთის ლიტერატურის ფილოსოფია“ ადრეიჩის ფსევდონიმით. „ჩვენ არ გვწამს ევროპის მეცნიერება, და თუ მაინც ვღებულობდით ცოტა-ცოტაობით, როგორც აუცილებელ ჭირს“. ეს გახლავთ მისი კვლევა ძიების დასკვნა.

დღეს ნამდვილათ ბოლშევიზმი წარმოადგენს რუსის ერის სულის კვეთებას. ლენინმა არ განაცხადა ევროპას რევოლიუციის ცეცხლს წაუკიდებ და დავანგრევო და როდესაც ეს იმედი არ გამართლდა, მიმართა აღმოსავლეთს, რომ ააჯანყოს და ევროპას შეუსიოს დასანგრევათ.

ბოლშევიზმი არის რუსის ერის „ნუჟი“-ი ევროპის ცივილიზაციის გასანადგურებლად — ეს უნდა შეიგნოს ინგლის საფრანგეთმა; და მაშინ კი ერთად ერთი საშუალება რუსეთის ამბოხების ჩასაქრობათ იქნება ანტანტის გერმანიასთან შეთანხმება. მარტო გერმანიას შეუძლია რუსეთი დაამშვიდოს; თუმც „ნემეციც“ სძულს რუსს, მაგრამ მისი დიდი შიში აქვს და მოგერიდება; „ნემეცის“ ავტორიტეტი დღესაც დიდია რუსეთში.

რუსი ბოლოს და ბოლოს მაინც ბრიყვია, — მათ ჰგონიათ დღეს, რომ შეიძლება გერმანელებთან კავშირი ევროპის ცივილიზაციის დასამხობად ავიწყდებათ, რომ თვით გერმანია არის ცივილიზაციის შემქმნელი; მაგრამ გერმანია ამ რუსის სიბრიყვით ისარგებლებს და რუსის ერს დაიმორჩილებს.

ხოლო ეს გარემოება დიდათ გამოსცვლის დღევანდელ ევროპის საერთაშორისო განწყობილებას.

ბ. გ.

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი

ს. დ. ს.

## ფრანგული პრესა.

### საფრანგეთ-ბელგიის კავშირი.

ბელგიის პალატის პრეზიდენტმა ბრიუნემ განაცხადა: საფრანგეთ-ბელგიის კავშირი აუცილებელიაო. მშვენიერი რაინდული საფრანგეთი, სთქვა ბრიუნემ, უნდა შეიქმეს ჩვენ მოკავშირეთ იმიტომ, რომ ჩვენ მასთან დაკავშირებული ვართ საერთო ინტერესებით. მას შემდეგ რაც ასეთი კავშირი დაიდება, ჩვენ შეგვეძლება ვიქნებათ დამოკიდებულიმი დავუკავოთ ჰოლანდიასთანო.

### ერთა ლიგის სხდომა.

ნოემბრის 15-ისათვის ჟენევაში დანიშნულია ხალხთა ლიგის სხდომა, რომელზედაც განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს; მათ შორის განიხილავენ ხალხთა ლიგის შემადგენლობაში ძველი მტრების დაშვების საკითხსაც. იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, სამ სამი დელეგატი უნდა გააგზავნონ. ყოველ სახელმწიფოს თითო ხმის უფლება ექნება.

### ამერიკა და პოლონეთი.

„ორიანტ ნიუს“ იუწყება: შეერთებული შტატები დათანხმდება მისცეს პოლონეთს 50 მილ. დოლარი სესხის სახით. ამ ფულით პოლონეთი ამერიკაში მასალები უნდა შეიძინოს.

### საფრანგეთის თანაგრძნობა პოლონეთისადმი.

ფრანგული პრესა ღნიშნავს: ბოლშევიკებს პოლონეთთან ზავი არ უნდა. წითელ არმიელთა შეტევა გრძელდება, მაგრამ პოლონეთის მთავრობა არ ეცემა სულით და ჯარის ნაწილობრივ რეფორმასაც კი ახდენს. ზურგს უკან სამსახური ფრანგ ოფიცრებს მიენდოთ.

### საფრანგეთის ნოტა შეერთებულ შტატებისადმი.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით რომელიც ფრანგულ პრესაშიც არის დაბეჭდილი, ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კოლბიმ განაცხადა: მილერანის ნოტამ ამერიკის მთავრობისადმი დაამტკიცა სრული თანხმობა ამერიკისა და საფრანგეთის შორის პოლონეთ-რუსეთის საკითხში. ჩვენ და საფრანგეთის მთავრობას ერთი და იგივე მიზანი გვაქვს განაცხადა კოლბიმ. რაც შეეხება საფრანგეთის მთავრობის მიერ გენერალი ვრანგელის ცნობას, მე ვფიქრობ, რომ ის უთანხმოება, რომელიც ვაშინგტონსა და პარიზს შორის არსებობს, არ არის შედეგი იმ უთანხმოებისა, რომელიც შეიძლება დაიბადოს მიზნის მიღწევაში, არამედ იგი აიხსნება იმ პოლიტიკის განსხვავებით რომელსაც ჩვენ ბოლშევიკების მიმართ ვაწარმოებთ. საკმარისია გავითვალისწინოთ დაუმატა კოლბიმ, ის წინააღმდეგობა, რომელიც წითლების პოლიტიკასა და მათ განცხადებათა შორის არსებობს, რომ დავინახოთ ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მოსკოვის თეორიები სრულიად არ ეთანხმება მოსკოვის მოქმედებას. (დ. ს.)

### ქემალისტების დამარცხება

გავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის ჯარებმა ივნისში ქემალისტები დაამარცხეს, სირიაში ფრანგებმა ხომსი და ხაბა დაიკავეს. დამასკში სიწყნარეა.

### მოძრაობა ქემალისტების წინააღმდეგ.

„ტანი“ იტყობინება რომ მუსტაფა ქემალის ჯარს ეტყობა გახრწნა და დაშლა. ცალკე ნაწილის უფროსები მუსტაფა ქემალს არ ემორჩილებიან. ეგვიპტშიაც კი ჰქონდა ადგილი განსაკუთრებულ მთავრობის გამოცხადებას არავების მეთაურობით, რომელსაც 2000 ასკერი მიემხრო. უკმაყოფილება მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ დღითი დღე იზრდება. ქემალისტების მოწინააღმდეგეთა იერიშს მოელიან ანგორაში.

## ინგლისური პრესა

### ვარშავის დაცვის საქმე.

პოზნანიდან მიღებულ ცნობით პოლონელებმა კარგათ მოაწყეს ვარშავის დაცვის საქმე. ბოლშევიკებმა კონტრ-შეტევით წინ წაიწიეს ცელკონოვამდე, რომელიც ვარშავის ჩრდილოეთით 50 მილზე მდებარეობს.

### რუსეთი და ამერიკა.

ამერიკის შეერთებულ შტატების სტატს სეკრეტარმა გადასცა იტალიის ელჩს ნოტა, სადაც განმარტებულია შეერთებულ შტატების აზრი რუსეთ-პოლონეთის საკითხის შესახებ. ნოტაში აღნიშნულია ამერიკის გადაწყვეტილება, რომ დაცულ იქმნას პოლონეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამასთანავე ნათქვამია: შეერთებული შტატები წინააღმდეგი არ რუსეთის დანაწილებისა და საბჭოების ცნობისაც. რუსეთის ხალხის ინტერესების დასაცავად შეერთებულ შტატებს სურს დაინახოს მოკავშირეებისაგან რუსეთის ტერიტორიისა და ნამდვილი საზღვრების დაცვა. შეერთებული შტატები წინააღმდეგი არ იქნება, რომ პოლონეთმა საბჭოთა რუსეთთან დროებითი ზავი შეკრას, მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ ეს მოლაპარაკება საერთაშორისო

კონფერენციად გადაიქცეს. შეერთებულ შტატებს არ უნდა ეს ერთი იმიტომ, რომ ასეთი ნაბიჯი გამოიწვევს საბჭოთა მთავრობის ცნობას და მერე კი იმიტომ, რომ რუსეთის პრობლემის ამგვარად გადაწყვეტა დაფუძნებული იქნება რუსეთის დანაწილებაზე.

**ვანდერველდეს აზრი ბოლშევიკების შესახებ**

ვანდერველდემ სოციალისტთა კონგრესზე დაახასიათა ბოლშევიკები, როგორც ყოველგვარ ღირებულებათა განმანადგურებელნი და დაუპირდაპირა ინგლისის სოციალისტ. აღმაშენებლებს მოსკოვი და ლონდონი ანტიტეზებია სთქვა ვანდერველდემ. მოსკოვში ეკონომიურ განვითარების ადგილი ფიზიკურ ძალას უჭავია. ლონდონი და ინგლისის მუშა კი წარმოადგენს დისციპლინას კეთილსინდისიერებას და შემოქმედ ძალას. სოციალისტებმა ერთერთი სიმბოლოთაგანი უნდა ამოირჩიონ. ვანდერველდე სურვილს გამოსთქვამს, რომ მეორე ინტერნაციონალს ამიერიდან ბინა ლონდონში ექნეს, სადაც შეიკრიბებიან ყველა ქვეყნის სოციალისტები, რომლებიც ბოლშევიკურ მოწოდებებით არ დაბრმავებულან.

**ინგლისელი ტყვეები ბაქოში.**

**ლონდონი.** ,,დეილი ქრონიკლი" იუწყება: ინგლისის მთავრობის წინადადებაზე, რომ ინგლისში დატყვევებული რუსები გაეცვალათ ბაქოში დატყვევებულ ინგლისელებზე, მოსკოვის მთავრობამ უპასუხა, რომ ისინი დატყვევებულნი არიან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და ამიტომ ჩვენ პასუხს ვერ მოგცემთო, მხოლოდ გაცნობებთ, რომ ბაქოში დატყვევებული ინგლისელები კარგ პირობებში იმყოფებიანო.

**,,დეილი ქრონიკლი" საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

,,დეილი ქრონიკლი" ეხება კამენევის აზრს ვრანგელის შესახებ და სწერს: კამენევს ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ შეუძლია რაც უნდა ის იფიქროს, მაგრამ თუ მასა და მთავრობას სურთ განთავისუფლონ მეზობელ სახელმწიფოს ხალხნი მძიმე უღლისაგან, ამისათვის კამენევსა და მის მთავრობას უკეთესი საშუალება აქვთ, ვიდრე ლონდონის და პარიზის დამოკიდებულებაში ჩარევაა. საბჭოთა მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ ლონდონი დაემარება რუსეთს იმ შემთხვევაში, თუ მას ნამდვილათ სურს ზავი და თუ იგი მიჩენილ საზღვრებში გაერდება. დიდი სიბრძნე იქნებოდა, რომ მათ ასეთი პოლიტიკური ხაზი დაეკავებინათ მერმისშიაც.

**პოლონელების შეტევა რუსეთზე.**

პოლონელებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს. თანახმად ლონდონში მიღებულ ცნობებისა, რუსები უწესრიგოდ გარბიან. პოლონელებმა შეინარჩუნეს ქალაქ ვარშავის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით 16 მილზე მდებარე პოზიციები.

**ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება.**

,,ივნინგ სტანდარდი" იუწყება: ინგლისსა და საფრანგეთ შორის არსებული დიპლომატიური დამოკიდებულებ გაუმჯობესდა. შესაძლებელია სრული შეთანხმება. გაზეთი აღნიშნავს იმ კმაყოფილებას, რომელსაც განიცდის ინგლისის საზოგადოება მილიერანის მიერ საფრანგეთის დანგრეულ ნაწილების ნახვის დროს წარმოთქმულ სიტყვის გამო. ინგლისელ ჯარისკაცთა სასაფლაოზე, რომელიც ვიმ-ო-ბონში იმყოფება, მილიერანმა სთქვა: ამ ხალხმა განამტკიცა მეგობრობა, რომლის წაშლა აღ ვის არ შეუძლია ორივე მხარემ რომ მოინდომოს იმის დავიწყება, თუ რით არიან ისინი ერთმანეთისაგან დავალებული, მაშინ ამ საფლავთა სიღრმიდან გაისმება ხმები, რომლებიც მოგვაგონებს ჩვენ, რომ მათი სისხლი არ დაღვრილა უბრალოთ, და რომ იგი დაღვრილი იყო ინგლის-საფრანგეთის მეგობრობის განსამტკიცებლად.

**მინსკის კონფერენცია.**

მიღებულია ოფიციალური ცნობა მინსკის კონფერენციის შესახებ. ცნობა მოსულია მოსკოვის რადიო სადგურიდან, მისი შინაარსი ასეთია: დანიშევსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა რუსეთის მშვიდობიანობის პოლიტიკა. თანვე დასძინა, რომ რუსეთ პოლონეთის დამოკიდებულების დიდი პატივით ეპყრობა და მის უფლებას, რომ აირჩიოს მართვა-გამგეობის სასურველი წყობილება ხელს არ ახლებსო. ამასთანავე ბოლშევიკები იძულებული არიან მოითხოვონ გარანტია პოლონელ მემამულებისაგან. ეს გარანტია საჭირო არ იქნებოდა მაშინ, რომ საქმე მუშებთანა და გლეხებთან გვქონდესო.

**რისთვის იბრძვიან პოლონელები?**

,,ივნინგ სტანდარდის" სპეციალური კორესპოდენტი იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით პოლონელები იბრძვიან საბჭოთა რუსეთის მიერ მოთხოვნილ განიარაღების წინააღმდეგ. პოლონეთი განიარაღების მომხრე მაშინ იქნება, თუ ერთი და იმავე დროს რუსეთის განიარაღებაც მოხდება. პოლონეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი იმ ღონისძიების მიღებაზე უარს იტყვიან, რომელსაც მიზნათ ექნება რუსეთ გერმანიის დამოკიდებულების განახლების გაადვილება პოლონეთის გზით.

# გერმანული პრესა

**რუსეთში და პოლონეთში სამხედრო მასალის გადატანის აღკრძალვა.**

ეპერტმა ბრძანება გასცა, რომ სასწრაფო ზომები მიიღონ პრუსიის ნეიტრალობის დასაცავად, მთავრობის ახალი დეკრეტი კრძალავს იარაღისა და სამხედრო მასალის პოლონეთსა და რუსეთში გატანას.

# სტამბოლის პრესა

**მუსტაფა ქემალის ძალა**

,,ა სუარ" იტყობინება რომ ქემალისტების ძალა 1 მაისის ფრონტზე შედგება 5 კორპუსისაგან, თითოში 5 6000 კაცის შემადგენლობით. სადღიონ ქარაჰისარ ქიაზიმ ფაშა, რომელიც სომხეთის წინააღმდეგ მოქმედობს, ოსმალეთის გენერალურ შტაბი უფროსის თანაშემწე ქიაზიმ ფაშა, სმირნის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი ფუად ფაშა და კონიის სარდალი პოლკ. სელაჰ ედინი.

# სამხრეთ-რუსეთი.

**ვრანგელის იერიში ყირიმის ფრონტზე.**

ბ თომე. მიღებულია ოფიციალური ცნობა ყირიმის ფრონტიდან აგვისტოს 8 თარიღით. დაწვრილებით მოყვანილია ორეხოვის სამხრეთითა და დნეპრის მიდამოებში მიმხდარ ბრძოლის ამბები. ამ ცნობით ვრანგელის ჯარს ორეხოვის რაიონში მოუგერებია წითელ რაზმელთა შემოტევა და კონტრ-შეტევაზე გადასულა. ვრანგელის ჯარმა კონტრ-შეტევით წინ წაიწია და ხელთ იგდო ტყვეები და ერთი ჯავშნოსანი მატარებელი. დნეპრის მიმართულებით ვრანგელის საკმაო მრავალ რიცხოვანი ჯარი გადასულა ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე და დაუკავებია ლეპეტიხა და კახოვკა და დაუწყიათ წინ წამოწევა. ვრანგელის ჯარის კონტრ-შეტევით საბჭოთა ჯარი უკუ აგდის დნეპრის იქით და ამასთანავე დაიბრუნეს ალეშკი და ტყვედ წამოიყვანეს 450 ჯარისკაცი.

# პოლონეთი

**ვარშავის ევაკუაცია.**

სტამბოლის გაზეთი ,,ვეჩერნაია პრესის" ცნობით ვარშავის ევაკუაცია სავსებით დასრულდა. ქალაქში დარჩენილია მხოლოდ ოფიციალური დაწესებულებები და მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილი.

# საბჭოთა რუსეთის ცნობები

**ქემალ ფაშას სამხედრო მოქმედება.**

**ანგორა 3 აგვისტო.** ქიღი ხიდან და სიმავადან გამოსულ ქემალისტების ჯარი ივლისის 24 ბერძნების ჯარს შეხვდათ და საშინლად დაამარცხა. ერზრუმის ჯარი მოკლე ხანში ყარსში შევა. ბერძნებს, ინგლისელებისა და რუმინის ჯარი, რომელსაც ჩვენები მისდევენ აკდჟაბასაკენ იხევს. ჩვენ დავიკავეთ კანდირი. მოწინააღმდეგეთ უკან დახევის დროს თან მიჰყავთ ქრისტიანი მოსახლეობა.

**ანგორა.** აგვისტოს 5. ივლისის 30-ს ჩვენებმა მოწინააღმდეგეს ხისარ კრის კენ დაახევინეს. აგვისტოს 2-სა და 3—ს ბერძნების ჯარის ნაწილი დავამარცხეთ. ჩვენი ჯარის სიმამაცე სიტყვით გამოუთქმელია. ბერძნები გარბიან. აურაცხელი ალაფი ჩავიგდეთ. და ტყვეები ჩავიგდეთ ხელთ. დღეს ჩვენ დავამარცხეთ ბერძნებისა და ოსმალეთის სომხეთის ჯარის ნაწილი, რომელთაც სამხედრო გემები იცავდნენ. კარსის აღმოსავლეთით ჩვენ გავაძევეთ ბერძნები, რომელთაც ზურგიდან სომხები იცავდნენ. სამატია, დემირჯ დაგი და ესვი ხისარი გაწმენდილია ბერძნებისაგან. ხანგრძლივი სისხლის ღვრის შემდეგ მოწინააღმდეგე გავანადგურეთ. ბერძნების მე—53 დივიზია საგრძნობლად დაზარალდა.

**ყირიმის ფრონტი.**

ბაქო. აგვისტოს 20. ყირიმის მიმართულებით წარმატებით უტევთ.

**მანდატი სომხეთზე.**

**ათინი** აგვისტოს 4. ათინის გაზეთების ცნობით სომხეთზე მანდატი ეძლევა რუმინიას.

# საქართველო-რუსეთის შერეული კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ.

**რუსეთის განცხადება.**

საქართველოს დელეგაციის იმ წერილობით განცხადების საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკასა და მოხალისეთა მთავარ სარდლობას შორის არსებულ დამოკიდებულობას, რუსეთის დელეგაციამ შემდეგი განცხადება წარადგინა: 1) ომი შეგვიძლია ვუწოდოთ ისეთ ფაქტიურ განწყობილებას, რომელიც გულისხმობს განუწყვეტელ მოქმედებას, მიმართულს მოწინააღმდეგის ნების ჩაქრობის წინააღმდეგ—მისი ცოცხალი ძალის მოსპობის საშვალებით და რომელიც თავისებურ დაღს ასვამს მებრძოლ მხარეთა ყოველ გვარ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებას ამიტომ სადაც არ არის ომის ასეთი მთავარი დამახასიათებელი ნიშნები იქ არ შეიძლება იყვეს ომის ფაქტიური არსებობა, და საქართველოს დელეგაციის განცხადებაში აღნიშნულ ასეთმა გარემოებებმა, როგორიც არის ომის ფორმალურად გამოცხადება, ცალკე სამხედრო მოქმედებანი, დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტა და ბლოკადა, შესაძლებელია კიდევ ომი არც კი გამოიწვიოს. ხდება, რომ ორი მხარე, მიუხედავათ თმის გამოცხადების და დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტისა მაინც ომს ფაქტიურად არ იწყებენ, ეს კიდევ არ ნიშნავს ნამდვილ ომს და სამხედრო მოქმედებას, თუ კი ეს მოქმედებანი არ იქნება მიმართული მოპირდაპირის ნების ჩაქრობისაკენ, ასევე არ ნიშნავს ომს ბლოკადა, რომელიც შეიძლება იყვეს ეგრედ წოდებული „მშვიდობიანი" ამიტომ საქართველოს დელეგაციის მიერ აღნიშნული ნიშნები, რომლებიც თითქოს, ახასიათებენ ომს, არ სცილდება თვით დახმარების ფარგლებს, რომელიც საერთაშორისო სადავო საკითხების უომროდ გადაწყვეტის ერთ-ერთ საშვალებათაგანს წარმოადგენს. ასეთ შეხედულებას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ხშირად და უმეტეს შემთხვევაშიც ზემოაღნიშნულ მოქმედებანი მართლაც იქცევა ხოლმე ომად, როგორც ,,ულტიმა-რაციო" მომწიფებულ კონფლიკტის გადაწყვეტისა.

ა. აშკარაა აგრეთვე, რომ საქართველოს დელეგაციის მიერ პირველ რიგში წამოყენებულ პსიქოლოგიურ მომენტს არ შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან უკიდურესი განხეთქილება და ყველა შეხედულებათა და მისწრაფებათა განსხვავება, რომელიც კი სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის არსებობს, შესაძლებელია ომად არ გადაიქცეს და მშვიდობიანის გზით მოწესრიგდეს. რაც შეეხება ფაქტიურ მასალებს საქართველოს და სამხრეთ რუსეთის მთავარ სარდლობის შორის დამოკიდებულების შესახებ, რუსეთის დელეგაცია ამბობს: ამ მასალების გაცნობა გვიმტკიცებს მას, რომ დენიკინის ჯარის მხრივ საქართველოს მიმართ არსებობდა პერმანენტული მუქარა, მაგრამ ეს მუქარა მოდის არა საქართველოს მიერ-როგორც ამას თვით საქართველოს დელეგაცია აღნიშნავს-არამედ მესამე ძალის, საბჭოთა რუსეთის მიერ. ამიტომ მის საზღვრებში გადმოსულ მოხალისეთა ნაწილებს საქართველო არ უყურებდა როგორც სამხედრო ტყვეებს, არამედ აკავებდა და ანიარაღებდა მათ, როგორც თავისი ნეიტრალიტეტის დამცველი. აქედან ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის მიერ დამსხვრეულ მოხალისეთა ნაწილებს, რომლებმაც გადმოლახეს საქართველოს საზღვრები, საქართველოს მთავრობა არ უყურებდა და არც შეეძლო შეეხედა მათთვის როგორც მის მიერ დამარცხებულ მტრისათვის, რომლის ქონებაც საქართველოს სამხედრო ნადავლად უნდა ჩათვლილიყო. ეს ქონება შეადგენდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის სამხედრო ნადავლს, რომელიც აღნიშნულ ნაწილებს მოჰქონდათ და აბარებდენ საქართველოს, ოღონდ კი არ მიეცათ იგი რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობისათვის. 3) რუსეთის დელეგაცია ადასტურებს რა ზემოჩამოთვლილ ფაქტებს, ფიქრობს, რომ საქართველოსა და მოხალისეთა მთავარსარდლობას შორის არსებულ დამოკიდებულების ფაქტები არ ეთანხმება შერეულ კომისიის მიერ აგვისტოს 11 გამოტანილ რეზოლიუციის 2-3 პუნქტებს, არამედ შეიცავს დამახასიათებელ ნიშნებს იმ განწყობილებისას, რომელიც აღნიშნულ რეზოლიუციის მე-4 პუნქტში არის ნაგულისხმევი, ე. ი. შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის განწყობილებას, რომლის მიზანი არის დამოუკიდებლობის დაცვა. ასეთ პირობებში მოხალისეთა ჯარის მთელი სამხედრო მასალა და ქონება საბჭოთა რუსეთს უნდა დაბრუნებოდა, მიუხედავათ ამისა აღნიშნული დელეგაცია მიდის რა მაქსიმალურ დათმობაზე, თანახმაა შეზღუდოს რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილება, მხოლოდ გენერ. ერდელის რაზმების ქონების გადაცემით, ვინაიდან უეჭველია, რომ ეს ქონება გადავიდა საქართველოს ხელში მაშინ, როდესაც მათ შორის არავითარი ომი არ არსებობდა. ასეთი დასკვნა აღნიშნულ ქონების შესაეებ არ ეწინააღმდეგება მაისის 7 ხელშეკრულებას და ამავე დროს საერთაშორისო უფლების ნორმებიდანაც გამომდინარეობს. შერეულ კომისიის სხდომები დროებით შესწყდა.

# პარტიული ცხოვრება

**სტუდენტთა კომიტეტის სხდომა.**

დღეს საღამოს 7 საათზე პარტიის მთავარ ბიუროში დანიშნულია სახელ. უნ-ვერ. ერ. დემ. პარ. სტუდენტთა კომიტეტის სხდომა. განსახილველია გადაუდებელი საკითხები.

პრეზიდიუმი

# ახალი ამბები

## სამინისტროებში

— **ჯანმრთელობის დეპარტამენტში.** დეპარტამენტმა ბათომს გაგზავნა ბათომის სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პროფესორი შიროკოროვი და ექიმ. ორბელიანი. ამასთანავე გაიგზავნა დეზინფექციისათვის საჭირო წამლები და მოწყობილებანი.

## ერობა.

**ერობათა კავშირში.** ერობათა კავშირის კომიტეტმა აღძრა მომარაგების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რათა იგი კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ გორის ერობას დაეხმაროს ან ფულით და ან ხორბალით.

## სასწავლებლებში.

თბილისის კომერციულ სასწავლებელში მიიღება თხოვნები მე-5 გაერთიანებულ ქართულ კლასში შესასვლელად მისაღებად საჭიროა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრების მოწმობა, ანუ საშუალო სასწავლებლის ოთხი კლასის გავლისა. იმ პირთ, რომელთაც არ მოეპოვებათ ასეთი მოწმობა, დაენიშნებათ გამოცდა, თუ თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდა. თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველდღე სასწავლებლის კანცელარიაში, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს, დილის 9 საათიდან.

## მუშათა ცხოვრება.

— **მუშათა ცხოვრება. პროფ. კავშ. საბჭ. სეკრეტარიატში.** სეკრეტარიატის 18-ე აგვისტოს სხდომაზე განიხილეს საკითხები: „სკვერნია ნომერის" სასტუმროს მოსამსახურეთა ჯამაგირების მონატების, 2 ამავე სასტუმროს ითხოვნილ მოსამსახურეთა და 3 მელიონეთა კავშირის გაერთიანების და 4 მცირე წლოვანთა ჯამაგირის და სხვათა შესახებ.

**მუშათა ორგანიზაციები ბათომში.** თბილისის პროფესიონალ. კავშირთა თავმჯდომარემ გრ. ხელაძემ დეპ. საგ. თანამშრომელს განუცხადა: ბათომიდან ინგლისის მთავრობის გასვლის შემდეგ მუშათა გაერთიანება პროფესიულ კავშირებში ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ და დღეს უკვე იქ 22 პროფესიონალური კავშირია, რომელიც აერთიანებს 7.500 მუშას. ჯერ ჯერობით ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება პროფესიონული კავშირების დროებითი საბჭო. აღმასრულებელ ბიუროს თავჯდომარედ არის გრ. აიოლო მოკლე ხანში მოხდება ახალი საბჭოს არჩევნები თბილისის მგზავსად. საგანგებო კომისარმა მუშათა საჭიროებისათვის მარინის პროსპექტზე 20 ოთახიან სახლს რეკვიზიცია უყო.

**მუშათა მაგიდა.** მუშათა მაგიდამ გაგზავნა ბორჯომს მუშათა მაგიდისათვის 500 ფ. ქერი და 500 ფ. კვნადის ფქვილი.

ვინაიდან მუშათა მაგიდამ ქალაქის სასურსათო განყოფილებას ახლა მეტი პურის გამოცხობა მიანდო, ამიტომ ქალაქის თვითმართველობამ იჯარით აიღო ამერიკის კომიტეტისაგან ფურნე, სადაც ყოველ დღე 350 ფ. პური ცხვება.

## ფოსტა-ტელეგრ.

— **საფოსტო დამოკიდებულება.** განახლდა არტვინთან საფოსტო დამოკიდებულება. დეპეშების გზავნა ტელეგრაფის ბოძების აღდგენის შემდეგ განახლდება.

— **დეპეშების გაგზავნა ნისიად.** სამხედრო მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ მიიღოს დეპეშები ჯარის ნაწილების უფროსებისაგან ნისიად, იმ პირობით, რომ დეპეშების გასაგზავნი სათანადო ფული შემდეგ გადახდეს სამხედრო უწყების სამეურნეო კომიტეტს.

## რკინის გზაზე.

რკინის გზის სამართველომ აღძრა შუამდგომლობა, მთავრობის წინაშე, რათა დაჩქაროს ძირულაში მყოფ სააქციონერო საზოგადოება „შრომისაგან" ცეცხლშეუპოვარი აგურის ქარხანის შეძენა.

სამტრედიის ქალაქის თვითმართველობა შუამდგომლობს, რომ საქონლისა და სამგზავრო მატარებლის ბილეთებისა და გადაზიდვის ტარიფის გადიდებასთან ერთად გადიდებულ იქნას სამტრედიის სასარგებლოდ საფუთო გადასახადიც.

—**რკ. გზის ახალი ტარიფი.** ტარიფი გადიდებულია მხოლოდ ადგილობრივ მიმოსვლაზე კახეთის რკ. გზაზე გადასახადის ფასი, რომელიც 100 ჯერ იყო გადიდებული, გადიდიდებულია 150 ჯერ გადასახადი ხილის გადატანაზე, რომელიც გადიდებული იყო 150 ჯერ გადიდებულია 180 ჯერ.

ფასები. რომელიც არსებობდა 20 აგვისტომდე მგზავრების გადაყვან—გადმოყვანაზე, წარმოადგენდა 60 ჯერ გადიდებულს 1917 წლ. ივნისში არსებულ ფასებთან შედარებით. (დ. ს.)

—**პირდაპირი მატარებელი ფოთში.** 18 მარიამობისთვიდან პირდაპირი მატარებელი დაწესდა ტფილისიდან ფოთამდე რომელიც გადის დილ. 8 ს. უკან ფოთიდან ტფილისისკენ ეს მატარებელი გამოვა საღ. 6 ს.

## ბანკები და საკრ. საზ-ნი.

— **სახელმწიფო ბანკში.** სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეთა საერთო კრებამ აირჩია 3 პირისაგან შემდგარი კომიტეტი. კომიტეტმა დადგინა შევიდეს სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კავშირში.

**ცენტრობანკის განყოფილება სტამბოლში.**

ცენტრობანკის გამგეობამ თვის განყოფილების მმართველად სტამბოლში დანიშნა დამფუძნებელ კრების წევრი პეტრე სურგულაძე, დირექტორად ცენტრობანკის მართველის ამხანაგი ა. გრიგოლია, კასსირათ—ყოფილი კასსირი ამიერ კავკასიის ბანკისა ბ. სიდამა აღნიშნული პირნი მეემგზავრებიან სტამბოლს ამ თვის გასულს.

**საკომერციო ბანკები.** საკრედიტო დაწესებულებათა საბჭოს თავმჯდომარემ პართენ გოთუამ ოფიციალურ წინადადებით მიმართა ქართულ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ გარდაქმნან ეს საზოგადოებანი სააქციონერო ბანკებად დიდი ძირითადი თანხით.

თანახმად მოსულ ცნობისა 14 პროვინციის საკრედიტო საზოგადოებას უკვე განუცხადებია სრული თანხმობა საკომერციო ბანკებად გარდაქმნის შესახებ იმ სამაგალითო წესდებით, რომელიც მიაწოდა ცენტრობანკმა ამ პროვინციის ბანკების გამგეობებს უკვე დაუწყვია მოქმედება.

— **კრედიტის გადიდება.** ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამისად გაადიდოს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესავსებად 926. 389. 306. მან. ფინანსთა სამინისტროს დაევალა სათანადო დეკრეტის შეტანა დამფუძნებელ კრებაში.

## ს უ რ ს ა თ ი.

— **პურის კანტორა ქალაქის** თვითმართველობასთან არსებულმა პურის ბიურომ გახსნა აგვისტოს 20-პურის კანტორები დეზერტირის ბაზარსა და ტფილისის რკინის გზის სადგურზე.

ქალაქის სასურსათო განყოფილების ცნობით მიუხედავათ იმისა, რომ პურის კანტორებმა დიდი ხანი არ არის რაც მუშაობა დაიწყეს და ხორბალიც ბაზარზე ცოტა შემოვიდა, მათი წყალობით პურის ფასი თანდა თან ძირს იწევს. მაგალითად საუკეთესო ხორბალი ღირდა 1750 მან. და ახლა ღირს 1500 600 მან. პურის კანტორები მთელის თავის ძალ-ღონით ებრძვის ხორბლის გაძვირებას. კანტორების ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ მის გადაწყვეტილებას არა მარტო გამყიდველები არამედ მყიდველებიც ემორჩილებიან

— **თეთრი ქერი.** ფოთში მომარაგების სამინისტროს სახელზე თეთრი ქერით დატვირთული გემი მოვიდა. ქერის რაოდენობა 110-120,000 ფუთს უდრის. აგვისტოს 11 დაიწყეს გემის გადმოტვირთვა. დ.ს.

## მილიციაში

**ოქროს ქურდი.** ი. კამენოვსკიმ განუცხადა მილიციას, რომ მან მიცა ოქრომჭედელ ქურჩიშვილს 1 გირ. გადაუდნობი ოქრო სხვა და სხვა ნივთების ჩამოსასხმელად. ოქრომჭედელს ოქრო მიუთვისებია. მილიციამ მართლაც აღმოუჩინა გადამალული ოქრო.

**ბრილიანტების მოპარვა.** პლეხანოვის პრ. მოვაჭრე ოქრო-ვერცხლით დილას აიზენბერგმა განუცხადა მილიციას რომ 18 მარიამობისთვეს მის მაღაზიაში მასთან მივიდენ ორი ქალიშვილი და მიუტანეს საყიდათ ბრილიანტის საყურეები, ფასად 12000 მან. აიზენბერგმა როცა შეატყო, რომ ეს საყურები ღირს ერთი ათად მეტი, ქალები შეკრთნენ, გაიპარნენ მაღაზიიდან და დასტოვეს იქ ეს ნივთი. მაღაზიის პატრონმა აცნობა მილიციას, რომელმაც შეიპყრო იგინი. ესენი აღმოჩნდენ ვასილევსკა და დოლმანოვისა.

# ბ ა თ ო მ შ ი.

აგვისტოს 19 (საკ. კორ.) ბათომის ოლქის განსაკუთრებული კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი დაბრუნდა ართვინიდან და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. აგვისტოს 18 ხულოდან ბათომში ჩამოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ამასთანავე ჩამოვიდენ: მომარაგების მინისტრი ამხანაგი ქავჟარაძე, გარეშე საქ. მინს. ამხანაგი საბახტარაშვილი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი და საღ. მის 5 საათზე ე. გეგეჭკორი ინგლისის სამხედრო გემით „ჩ. პელით." ბათომიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა.

ამასთანავე საზღვარ გარედთ გაემგზავრენ: მომარაგების მინისტრის ამხანაგი ქავჟარაძე და დ. ლამბაშიძე. გეგეჭკორის პატივსაცემათ გემის გასვლისას სანაპირო ზარბაზნებიდან რამოდენჯერმე გაისროლეს.

— **გემების მოუსვლელობა ყირიმიდან.** ამ უკანასკნელ 5 დღის განმავლობაში ყირიმის ნავთსადგურებიდან ბათომში არც ერთი გემი არ მოსულა. ამბობენ, ცუდი ამინდის გამო ხომალდები შეჰფარებოდნენო სოხუმის ნავთსადგურს, ზოგნი ფიქრობენ, შეიძლება ნოვოროსიის რაიონში საბჭოთა გამანადგურებლებს მიაწყდნენო.

**სტამბოლიდან**

ამ დღეებში სტამბოლიდან მოსული „ფრანც ფერდინანდი" და „ალბატროსი" მოკლე ხანში უკანვე ბრუნდებიან. „ფრანც ფერდინანდი" სხვათა შორის წაიღებს ბათომის საფოსტო კანტორაში შეგროვილ ევროპის ფოსტას.

# რესპუბლიკის მტერთა და ლტოლვილთა უნივერსიტეტი.

რუსთა ბატონობის დროს საქართველოს დედა-ქალაქში გაიხსნა ,,ამიერ-კავკასიის" უნივერსიტეტი. ცხადია, იმ მიზნით, რომ საშუალო სასწავლებელში გადაგვარებული ქართული ახალგაზრდობა გადაებირებინათ, გადაეგვარებინათ.

მდგომარეობა შეიცვალა, ქართველმა ერმა შექმნა საკუთარი სახელმწიფო. თავისუფლების გარიჟრაჟზედვე შექმნა საკუთარი უნივერსიტეტი. მიუხედავად ამისა, ძველი რუსული გადამგვარებელ პოლიტიკის მატარებელი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი კვლავ არსებობს და იმდენად გაკადნიერდა, რომ ჩვენი ხაზინის ხარჯზედვე მოინდომა თავისი ბნელ, დაბალი პოლიტიკის წარმოება. ამ ორი წლის წინად ხსენებულ უნივერსიტეტის შესანახად საქართველოს ხაზინამ გაიღო იმ დროისათვის ფრიად დიდი თანხა 50,000 მან. ხანი გავიდა, ჩვენი მდგომარეობა შეიცვალა, სახელმწიფოებრივი აზრი მომწიფდა და ჩვენი ერის მესვეურებმა ეჭვით შეხედეს ხსენებულ უნივერსიტეტს და საჭიროდ დაინახა მისთვის სამარის კბილი გასინჯა საგანგებო რევიზიის საშვალებით პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, რევიზია დამთავრდა. კომისიის მოხსენება ისეთ შთაბეჭდილებასა სტოვებს, თითქოს მათ ძლივსღა მიუსწრიათ მომაკვდავ უნივერსიტეტისათვის. უნივერსიტეტის მდგომარეობა არანორმალურია: სტუდენტ მსმენელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულა, უნივერსიტეტს არ ჰქონია არც პროექტორა და არც კლინიკა, უკანასკნელი სომეხ-ლტოლვილთა წასვლის უმალვე დახურულა.

ბაქოს უნივერსიტეტის გახსნას თი-

# რას სწერენ გაზეთებში

### „სახალხო საქმე“

**გაზეთი ეხება თბილისის მცხოვრებლების საკითხს:**

„საქართველოს ქალაქებში ტფილისი ყველაზე თავისებურია. მისი თავისებურობა უცხოელთა ყურადღებასაც იპყრობდა. თავისებურობა ყველაფერში სჩანდა—მიმოხვრაში, გამოთქმაში, მოკაზმულობაში გართობაში სმა-ჭამაში ყველაფერს ამას აქთავაზი ქალაქური იერი ჰქონდა. დღეს სამწუხაროდ ეს თითქმის აღარაა. ტფილისი გასაოცარის სისწრაფით მიექანება გათქვლეფისა და გაშაბლონებისაკენ. ტფილისი ჰკრგავს თავის ძველს იერს და დღითი დღე ინტერნაციონალური ქალაქის ხასიათს იღებს, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ემსგავსება ტიპიურს რუსულს ქალაქს უფრო „ღოროდს“. ტფილისი აღარაა ქალაქი, ეს სიტყვა აღარ გამოხატავს მის თავისებურობას, წინად თუ ვატყობდით ქალაქში მივდივართ, ქალაქიდამ ჩამოვედითო,—ამას აზრი ჰქონდა. დღეს კი ასეთი გამოთქმა გვეჩოთირება.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ტფილისის წმინდად ჰქონდა დაცული ძველი ხასიათი და ადათი. ამის შემდეგ დაიწყო მისი გადაგვარება. განსაკუთრებით ამ საუკუნის დასაწყისიდან გაძლიერდა აქ გამარუსებელი ძალა. ყველგან რუსული ენა გამეფდა, ყველგან რუსულმა ჩვეულებამ მოიკიდა ფეხი, რუსული ხასიათი დამკვიდრდა, პირველობა მიისაკუთრა რუსულმა და რუსის მოხელეებისთვის ტფილისში შეიქნა ნამდვილი რუსული ქალაქის ატმოსფერა.

რუსიფიკაციის პროცესი დღესაც არ შეჩერებულა, მას შემდეგ, რაც თავისუფლება მოვიპოვეთ. დღესაც გრძელდება პროცესი, რომელიც მალე მთლად დაუკარგავს ტფილისს ყოველგვარს თავისებურობას, ერთიან წაუშლის ქართულს ელფერს, რომელიც კიდევ შერჩენია. მართალია სახელმწიფო—საზოგადოებრივი დაწესებულებანი გაეროვნებულია თითქმის. მართალია მრავალი ქართველობა მოაწყდა დედა ქალაქს, მაგრამ ყველა და ყველაფერი ეს ჯერ პოვებს აქ ეროვნულს ქართულს წრეს და პირიქით იკვებება წმინდა რუსული საზრდოთი. საითკენაც უნდა მიიხედოთ, ყველგან რუსულს ენას, ჩვეულებას, ტრადიციას, წესს ხედავთ. არასოდეს არ ყოფილა ტფილისში იმდენი წმინდა თუ არა წმინდა ხელოვნების რუსული გასართობი, რამდენიც დღესაა. სავაჭროში შეხვალთ, რესტორანში, ყავახანაში, ქალაქის ტრამვაის ვაგონში, ბაღში, ან თუნდ შესანიშნავ ბოტანიკურ ბაღში, ქუჩაში გაივლით—ყველგან ყველაფერი რუსული სულითაა გაჟღენთილი. მართალია ქალაქის თვითმართველობამ მოსთხოვა მაღაზიების პატრონებს წარწერების გაქართულება, მაგრამ მეტად მახინჯად იქნა შესრულებული ეს განკარგულება და ბევრი დღევანდელი წარწერა ძლიერ ახირებულს შთაბეჭდილებას სტოვებს და გაეროვნებას არაფერს ამტკიცებს. მართალია ისიც, რომ ქალაქის საბჭომ ქუჩას სახელი შეუცვალა, მაგრამ ეს მარტო ქაღალდზე მოხდა, სია ახალი სახელებისა ბეჯითად ინახება ქალაქის „საქმეთა“ საცავში და ტფილისის ქუჩებს ისევ ძველებური რუსული სახელები ამახინჯებენ.

ტფილისის თავისებურობის აღდგენა—დაცვა, მისი—ტფილისის ცხოვრების—გაეროვნება პატარა საქმე არაა და საქალაქო თვითმართველობამ ამას საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს სერიოზული ზომები. ყოვლის უწინარეს დიდის სიფრთხილით უნდა უპატრონოს თვითმართველობამ ყოველნაირს ძველს შენობას და ნაშთს. უნდა აღადგინოს ძველი სახლების გეგმა და ახალი აღმშენებლობის დროს რამდენადაც შესაძლებელია დაცულ იქმნეს ქართული სტილი. დაუყონებლივ უნდა მოხდეს ქუჩების სახელების ფაქტიური შეცვლა. ერთის სიტყვით გარეგნული გაქართულება უნდა გატარდეს ბეჯითად და უყოყმანოთ. მაგრამ თვითმართველობის მოვალეობა ამით არ უნდა ამოიწუროს. მეტი შრომა და ენერგიაა საჭირო იმისთვის, რომ მოხდეს ტფილისის შინაგანი გაეროვნება, ტფილისი გახდეს წმინდა ქართული ქალაქი, მას დაუბრუნდეს თავისებურობა. ტფილისში ყველაზედ მეტად უნდა ჰგრძნობდეს ადამიანი, რომ იგი საქართველოშია. აქ უნდა სჩანდეს უპირველესად ჩვენი სახე, ჩვენი კულტურა, ჩვენი ეროვნული შემოქმედება, ეს უნდა ემჩნეოდეს ყოველს მოვლენას, უბრალო წვრილმანსაც.

—

### „ახ. კომუნისტი“

გაზ. „ახ. კომუნისტი“ ასე ახასიათებს მენშევიკების მართვა-გამგეობის სისტემას.

რა შეიცვალა იმით, რომ სახელმწიფო მანქანის მმართველებად სოციალ-დემოკრატები მოევლინენ ქართველ მშრომელებს? მხოლოდ და მარტო ის, რომ მეფის, მინისტრების და ნამესტნიკების ალაგი ახლა სოციალ-დემოკრატებს უკავიათ: მუშა ძველებურად წელში მოკაკულია, სხვისი სიმდიდრის შესაქმნელად მისი ექსპლოატაციის დონე არა თუ დაკლებულია, გაცილებით უფრო მაღალია, ვინემ წინეთ, რადგან მას ხვდება სულ მცირე ნაწილი მის ნაწარმოებ საქონლის, ხოლო დამქირავებელს წინათ სიზმარშიაც არ უნახავს ამხელა მოგება, როგორც ახლა, დემოკრატიის ბატონობის დროს ხვდება მას.

შეიცვალა რამე გადასახადების აკრეფის საქმეში? გადაედო ამ ულლის მთელი სიმძიმე მდიდრებს? რასაკვირველია არა, ვინაიდან კიდეც რომ განხორციელებულიყო ჩვენში ელემენტარული მოთხოვნა დემოკრატიული რეჟიმის—შემოსავლის კვალობაზე გადასახადების გაწერა,—აქედან შემოსული თანხა ვერ დააკმაყოფილებდა მენშევიკების მართვა-გამგეობის უსაზღვრო მოთხოვნილებას, ბურჟუაზიული საკუთრების მცველი თავს ვერ დააღწევს ამ მანკიერ და საბედისწერო რკალს: საჭიროა აუარებელი ფული, ფული კი მცირერიცხოვან მდიდრების ხელშია, მათი საკუთრება ხელშეუხებელია; აქედან ერთად ერთი გამოსავალია ფართო ხალხის მასსების დაბეგვრა პირდაპირ და არაპირდაპირი გადასახადებით: ძველის ძველი, გატკეპნილი გზა და დემოკრატიაც მასზე დგება, იოლად მიდის, „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“... პირიქით გვასწავლის ჭკუას.

მაგრამ ჩვენში ასეთი ძველის ძველს და შეჩვეულს ჭირს თან ერთვის სულ ახალი გაჭირვება, რაიც უმძიმეს ლოდათ აწვება მხოლოდ და მარტო მშრომელებს.

დღე და ღამ მუშაობაშია ფულის საბეჭდავი დაზგა და ისვრის მილიონობით ბონებს, რომლებსაც ღირებულება არ უდრის იმ ქაღალდის ფასსაც, რომელზედაც იბეჭდებიან. საჭირო ხდება ბონების ასეული მილიონები და მილიარდებიც კი, საჭირო ხდება მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის მატება, მაგრამ ასეთი მომატება ნიშავს მხოლოდ ვაჭრების შემოსავლის ზრდას. დემოკრატი ვერ ამოხტება ამ რკალიდან, რამდენიც არ უნდა ეცადოს, რამდენი დეკრეტიც არ უნდა წეროს, რა გინდ გულწრფელადაც არ მოიწადინოს ცოტაოდენი უთავაზობის გაზედვა სიმდიდრეში მცურავ ბურჟუაზიის მიმართ ფუფუნების საგნების შემომტანის აკრძალვის განზრახვით.

ვინც ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე დგას, ის ვერ გაარღვევს იმ რკალს, ის არსებითად ვერას მისცემს მშრომელ ხალხს გარდა დემოკრატიულ, გაბერილ ფრაზებისა, გარდა 100 პროც. მომატებისა, რაც ამდენადვე ცხოვრების კიდევ გაძვირების მომასწავებელია. მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების ინსტიტუტის უარმყოფელი და მასზე თავდამსხმელი სოციალიზმ-კომუნიზმი შესძლებს ამ რკალის გარღვევას.

---

თქმის გაუნახევრებია, ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობა“ მომთაბარე პროფესორები ბაქოში გადასულან, მთელი წლით იქ ყოფილან, აქაც პროფესორთა შტატში ითვლებოდნენ და ჯამაგირებს ღებულობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთში მათგანი შიროკოგოროვი მაისში ჩამობრძანებულიყო, სტუდენტები „გამოეცადნა და მატრიკულებისთვის ხელი მოეწერა. დანარჩენ პროფესორთა მეცნიერულ ხარისხზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მიუხედავად ასეთი ანორმალ მდგომარეობისა უნივერსიტეტის მამანი ცასა და ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ ხსენებული უნივერსიტეტი საქართ. მოსახლე მცირ ეროვნებათა ინტერესებს ემსახურება და ამიტომ სახელმწიფომ მას მზრუნველობა უნდა აღმოუჩინოსო. რევიზიამ კი გამოარკვია, რომ 830 სტუდენტ-მსმენელთაგან მხოლოდ 129 საქართველოს მოქალაქეო აქედანაც 90 ქართველი და მხოლოდ 39 მცირე ეროვნებისანი, დანარჩენი 701 სტუდ. კი თავიანთ თავს მომეტებულ ნაწილად ან სომხეთის, ან აზერბაიჯანის, ან რუსეთისა და ან კიდევ ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკების ქვეშევრდომებად სთვლის. მათ არ უნებებიათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა!

მაშასადამე, ხსენებულ უნივერსიტეტში მცირე ეროვნებათა სტუდენტები მხოლოდ 39 კაცი ყოფილა. როგორი პოლიტიკური ეთიკისა და როგორი ქვეშევრომი აზრების მატარებელი უნდა ყოს ის პროფესორთა საბჭო, რომელიც ამის შემდეგ უსირცხვილოდ ამტკიცებს, რომ ამ.-კავკ. უნივერსიტეტი საქარ. მოსახლე მცირე ეროვნებათა ინტერესებს ემსახურებაო!

მე მგონია, მეცნიერთა ასეთი კორპორაციისათვის უფრო ადრე უნდა გაესინჯათ საძირის კბილი ვიდრე ისინი მოინდომებდნენ ჩვენი მთავრობის მოტყუილებას და სახელმწიფო ხაზინის ხარჯზედ 700—800 კაცის უცხო-ქვეშევრდომთა აღზრდას, რომელთა 99 პროც. მაინც ჩვენი რესპუბლიკის აშკარა მტერია.

ამ.-კავკ. უნივერსიტეტი თავიდანვე ხომ ლტოლვილ პროფესორთა და ჩვენი რესპუბლიკისადმი მტრობისა და შხამზედ აღზრდილი სტუდენტთა თავშესაფარი იყო. მათ მხარს უმშვენებდა ჩვენდა საუბედუროდ წარსულის ნაშთი ქართველ სტუდენტობის გადაგვარებულ და ყოველივე ქართულის მოძულე მცირე ჯგუფი. პირველნი აქ ამზეურებდნენ თავიანთ ქვენა გრძნობებს აქ ანთხევდნენ ნაღველსა და შხამს ქართველ ერისადმი, მათი მოდგმა „ქართველ სტუდენტები“ კი მათ გვერდით პირში წყალ დაგუბული იდგნენ და მათ კუდს უქნევდნენ. ამგვარ სიმდაბლემდე ქართველ სტუდენტობა რუსეთშიაც არ დასულა.

ხსენებულ უნივერსიტეტის სტუდენტობა არც ერთ ჭირსა და ლხინშიაც კი ტფილისის ქართველ სტუდენტობას გვერდში არ ამოსდგომია.

26 მაისია, ქართველი ხალხი პირველად დღესასწაულობს უწმინდეს ეროვნულ დღეს, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ დღესასწაულში, მას უკვირს ის და აკი მანვე ყველაზედ პირველად შეღება ერის ალში თავისი უმწიკვლო სისხლით. არსადა სჩანდნენ მხოლოდ ამ-კავ. უნივრ. ქართველი სტუდენტები მაინც? ალბად ისინიც დაძრწიან თავიანთ რუს სომეხ კოლეგებთან ერთად და მათთან ერთად საქართველოს ზეიმს დასცინიან. რუსთველის პროსპექტზე ამიერ-კავ. უნივერ. კარები მიხურულია. და ნუ გაგიკვირდებათ, მასზედ ფრიალებს ერთფეროვანი ყვითელი დროშა, ალბად ეს ამ უნივერსიტეტში მოსწავლე „ქართველ სტუდენტების“ დროშაცაა. ეს დროშა ამბობს ამ უნივერსიტეტის გულის თქმას.

ბათომის დღეა, ბათუმის ისტორიით შეურაცხყოფილი ერი აზღვავებულა, ქუჩის ნაპირებს ეხეთქება, და ამხედრებული ერი თითქოს ვიღაცას ელოდება. აი გამოჩნდა კიდეც ქართველ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის ქართველი სტუდენტობა, ეროვნულ დროშებით მტერთ რისხვა დამცემ საომარ სიმღერებით სტუდენტობა არღვევს აზობოქრებულ ზღვახალს და ტომნს აძლევენ ერის ყიჟინს. უმშვენიერისი წუთებია, გლოვის დროს ქართველურ ყიჟინასა სცემს ქართველ ხალხთან ერთად მათი პირმშო შვილი ქართველი სტუდენტობა და ამ დროს პოლიტეხნიკუმისა ამიერ.-კავკ. უნივერსიტეტიდან უცხოელ სტუდენტობა სიცილ-ხარხარს აყრის ქართველ ერს. ესეც მოსათმენია?

სომხეთთან ომი გვაქვს. სახელმწიფო უნივერ. სტუდენტობა, ერის მესვეურთა პირველი ზარის ხმაზედვე, იარაღს ისხამს და სამშობლოს სანაპიროებისაკენ მიეშურება, რომ ჩვეულებრივი პასუხი გასცეს სულ მ შემოტერს.

ტფილისის ქუჩებზედ მოჰყავთ სომხეთის საზღვარზე ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დატყვევებულნი სოხები და რუსები მათ შორის ამიერ-კავკ. უნივერსიტ. სტუდენტებიც. ესენი ხომ ჩვენი ჯარისათვის ზურგში ჩასაცემ მახვილს ლესავდნენ.

ბოლშევიკური გამოსვლებია, მთელ ტფილისი აფორიაქების წინა სდგას. ქართველი სტუდენტობა ერის სადარაჯოზედა სდგას, ამიერ-კავკ. უნივერსიტეტში თავშეფარებული უცხო ქვეშევრდომი სტუდენტობა კი მტრების ბანაკში სდგას, დღე და ღამ საქართველოს დასამხობად მოქმედობს და გულის ფანცქალით ელის იმ სანატრელ წუთს „როცა წითელ აზერბაიჯანიდან მომდგარ ბოლშევიკურ ჯარების სარდლის საყვირის ქვეშ, ვით ცნობილ იერიქონის კედლები დაინგრევიან საქართველოს ბჭენი და თბილისზედ აღმართულ ერის თავისუფლების სამფეროვან დროშასთან ერთად საქართველოს თავისუფლებაც ფეხქვეშ გასთელავს რუსის მუჟიკის ჩექმა“.

აი რა ხალხსა ზრდის ამიერ-კავკ. უნივერსიტეტი. ნუ თუ ყველა ამის შემდეგ ჩვენ უფლება არა გვაქვს ხმამაღლა მოვითხოვოთ, ერისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, აღიგავოს საქართველოს პირიდან რესპუბლიკის აშკარა მტერთა და ქვენა განზრახვებით გადმოხვეწილ ლტოლვილთა თავშესაფარი ამიერ-კავკ. უნივერსიტეტი!

ჩვენ აღარ გვინდა დავინახოთ ერის უდიდეს დღესასწაულზედ საქართველოს პირველ ქუჩაზე რესპუბლიკის მტერთა შავი ზრახვების გამომხატველი ყვითელი დროშა.

გვაკმარეთ...

ელ. პატარიძე.

ღვინის მოსავალს, მაგრამ ამ ჟამად ამ აუტანელმა გვალვამ კი ხელი დააბანინა და კვლავაც შიმშილს მოელის.

წარსული წლის შემხედვარე წელს აქაურები ადრე შეუდგნენ ყანა-ვენახების დამუშავებას, დაუთესავი ერთი მტკაველი მიწაც არ დაუტოვებიათ, ვენახის დამუშავებას, გოგირდ-შაბიამნის შეძენას დროით შეუდგნენ გულ მოდგინეთ თავდაუზოგავად, მაგრამ დამწვარზე მდუღარე რომ დასხდა, ისე მოუვიდა ბეჩავ მუშას. მოსავალს კი კაი პირი უჩანდა.

საზოგადოდ შენიშნულია, რომ ხშირად გვალვები ნამეტნავად აზარალებს მკვიდრთ და ცარიელზე დასვამს ხოლმე შემოდგომაზე, ამისათვის, ჩვენის აზრით საჭიროა ზომები იქმნეს მიღებული შიმშილობის თავიდან ასაცილებლად, უნდა დაითესოს ისეთი თესლი რომელიც ადრე მოდის და გვალვას უძლებს, მეურნეობის რაციონალური სწავლის მოფენა ძრიელ საჭირო და მიზანშეწონილიც იქნება.

ახლაც წვიმაც რომ მოკიდეს, მაინც აღარას არგებს ნაყოფს, მკვდარს წამალ როგორ გააცოცხლებს? ადგილობრივი ერობა ახლავე უნდა შეუდგეს თავდარიგს ხალხის გამოკვებების საქმეში, თორემ ბოლოს ფათური გვიანღა იქნება. ახლავე უნდა შეძენილი იქნეს სიმინდი, ქერი, პური, სადაც მოსულა, რომ ხალხს წრევანდელივით არ გიუმწარდეს სიცოცხლე შიმშილობისა გამო. საუბედუროდ ამავე მდგომარეობაშია მაზრის თითქ ის ყველა თემები.

კ. გძელი.

## ბირჟის კურსები.

### 9 მარიამობისთვის ბიულეტენი.

| | სასყიდლით | გასაყიდ. |
|---|---|---|
| ინგლისური გირვანქები | 3750 | 3825 |
| ინგლისური ჩეკები | 3500 | 3550 |
| ფრანგული ფრანკები | 84 | 86 |
| „ ჩეკები | 65 | 66 |
| იტალიური ლირები | 59 | 61 |
| „ ჩეკები | 55 | 58 |
| გერმანული მარკები | 33/25 | 34/75 |
| „ „ | — | — |
| ავსტრიული კრონები | 7/50 | 8 |
| „ „ | — | — |
| ამერიკული დოლარები | 930 | 950 |
| ამერიკული ჩეკები | 900 | 920 |
| ოსმალური ლირები | 860 | 870 |
| „ ჩეკები | არ | არის |
| „ ოქრო | 4150 | 4250 |
| სომხეთის | 22 | 23 |
| აზერბაიჯანი | 32 | 33 |
| რუსეთის ოქრო 10 მ. | 4600 | 4800 |
| „ნიკოლოზის“ მსხვილი | 11500 | 12500 |
| „ნიკოლოზის“ წვრილი | 8000 | 8500 |
| „კერენკები“ 1000 მ. | 2200 | 2500 |
| „ 250 მ. | 1200 | 1400 |
| „ წვრილი | 35 | 38 |
| იაბქოთა რუსეთის | 30 | 32 |

**სარედაქციო კოლეგია.**
მთავარი რედაქტორი: **ხ. კედია.**

# ჩვენი კორესპონდენტები

## ზესტაფონის თემი.

(ზესტაფონის მაზრა).

მოხუცი არ ახსოვს ასეთი აუტანელი, ხანგრძლივი გვალვისა. ერთს თვეს აღარა უკლია რა, რაც ქარ. სიცხეა, შემახუთავი ჰაერი ნათესს ჭირნახულს ანადგურებს, სპობს ძირიან ფესვიანათ: ნამეტნავად სიმინდს ქვიან ადგილებში, ტაროობის დროს მთლად მოშუშა, აიჩალა, ლობიო და ძაძა მოასწრაფა და გაახმო უდროოდ; ვენახი, რომელსაც კარგი პირი უჩნდა, საცოდავად გამოიყურება, მტევანი მოთუთქა მოხარშა, მარცვალი დაუპატარავდა. ხალხი, რომელიც აქნამდის შარშანდელი წლის მოუსავლობისაგან გულ დამწვარი იყო და ამ ქისატობის დროს ძლივს იბრუნებდა სულს, იმედით შეჰყურებდა წელს საზრდოს და

ისყიდება

როიალი

××××××××

კირიჩნის ქ., № 39.

პირობები ხელსაყრელია.

იკითხეთ [illegible]

ქ. სოხუმის მცხოვრებთ.

ჯანსუღ შიდის-ძე ემუხვარმა დაკარგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიცემული რეგისტრაციის ბარათი ამა წ. 7 მარიამობისთვის № 17382 თარიღით რაც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, აგვისტოს 22-ს ამა წლის ქ. თბილისში, გოგოლის ქ. № 63, საკუთარი სახლი, დილის 9 საათზე დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

განსახილველი:

1. ანგარიში 1919-20 სამ. წ. ანგარიშის განხილვა.
2. გამგეობის საბჭოს არჩევნები.
3. მიმდინარე შენებს და სარევიზიო ამხანაგი კებეში.
4. მიმდინარე საკითხები.

მალვა ამირეჯიბი

მინანქრები

გამოცემულია: ალ. არაბიძის და ამხ.

რაჟდენ გვეტაძე

დაბინდული ქარვები

ლექსები ოთხ წიგნათ

ყოველწიგნი ცალკე იყიდება ფასი ათი თუმანი.

ეროვნულ-დემოკრატიულ ჯგუფის სტუდენტთა მთავარმა კომიტეტმა განიზრახა ქართულ ახალგაზრდობისათვის

წიგნთსაცავ-სამკითხველოს მოწყობა

პარტიის წევრნო და თანამოაზრენო! თქვენი ვალია მიაწოდოთ

ერისა და პარტიის მიმართ თქვენი ვალი

შემოწირულება წიგნებით ან ფულით მიიღება ეროვნულ-დემოკრატიულ მთავარ კომიტეტის ბიუროში მდივან ვ. პატარიძესთან.